ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/113

ქ. თბილისი 05. 04. 2012.

2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, ამავე უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურის წარდგინების, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 აპრილის სხდომის (ოქმი №22) დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი განისაზღვროს 19 კვირით (15 კვირა – სააუდიტორიო მუშაობისათვის);
2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვროს 27 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე;
3. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 2012 წლის 17 სექტემბერს და გაგრძელდეს 31 დეკემბრამდე;
4. საშობაო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2013 წლის 8 იანვრამდე;
5. შუალედური გამოცდებისათვის (ყველა სასწავლო დისციპლინაში) დადგინდეს შემდეგი ვადები:

   ა/ პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-6 კვირაში (2012 წლის 22-27 ოქტომბერი);

საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-7 კვირაში (2012 წლის 29 ოქტომბერი - 3 ნოემბერი);

ბ/ მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-11 კვირაში (2012 წლის 26 ნოემბერი - 1 დეკემბერი);

საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-12 კვირაში (2012 წლის 3 - 9 დეკემბერი);

6. დასკვნითი საგამოცდო სესია ჩატარდეს მე-16 – მე-18 კვირებში (2013 წლის 8 - 27 იანვარი);
7. 2012 – 2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს მე-19 კვირაში (2013 წლის 11-16 თებერვალი);
8. საგაზაფხულო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2013 წლის 18-დან 25 თებერვლამდე;
9. ყოველი გამოცდის დასრულებისთანავე გაფორმებული საგამოცდო უწყისები ჩაბარდეს დეკანატსა და ასლი გადაეცეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა (ბ-ნი ნ. პავლიაშვილი) და საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურებს (ბ-ნი ე. კოპალიანი);
11. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ: საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; ბუღალტერიას; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს, ენების ცენტრს, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;
12. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი,
პროფესორი

სერგო ვარდოსანიძე